ჯუჯა ბანანი

გინახავს ბანანი ქოთანში?
დააკვირდი სურათს და წაიკითხე ტექსტი.

ბანანი თბილ ქვეყნებში იზრდება. ხშირად მისი სიმაღლე 9 მერტიც კი არის. ბანანი შეიძლება ოთახშიც გაიზარდოს, ოღონდ მხოლოდ 2 მეტრამდე. ასეთ ბანანს **ჯუჯა** ხე ჰქვია. მისი ნაყოფი პატარაა.

გინდა შენც გქონდეს ბანანი სახლში? აი, როგორ უნდა დარგო.

ბანანის დარგვის წესები

აიღე ერთი ქოთანი. ძირში ჩაყარე აგურის ნატეხები. შემდეგ ქოთანში ჩაყარე მიწა. დაუმატე ცოტა ქვიშა. დაასხი ცხელი წყალი. ცხელი წყალი მავნე მწერებს მოკლავს. ბოლოს ქოთანში ჩარგე ჯუჯა ბანანი.

რჩევები

- ❖ ბანანს სითბო უყვარს. ქოთანი დადგი თბილ ოთახში.
- ❖ ბანანს **შუქი** უყვარს. ქოთანი დადგი ფანჯარასთან.
- ❖ ბანანს არ უყვარს ქარი. არ დადგა ქარში.
- ❖ დაასხი ოდნავ თბილი წყალი დღეში ერთხელ.
- ❖ ზამთარში წყალი დაასხი თვეში ერთხელ.

რა გაიგე ბანანის შესახებ ახალი?

დონე: B გამრდამბავალი, **კომპონენტი:** თანამიმდევრობა

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 თუ გინდა დარგო ბანანი:

ა) ქოთანში ჯერ აგურის ნატეხები ჩაყარე.

ბ) ქოთანში ჯერ ცოტა ქვიშა ჩაყარე.

გ) ქოთანში ჯერ მიწა ჩაყარე.

2 ქოთანში მიწის ჩაყრის შემდეგ, პირველად:

ა) დაასხი ცხელი წყალი.

ბ) ჩაყარე ცოტა ქვიშა.

გ) ქოთანი ფანჯარასთან დადგი.

3 ქოთანში ქვიშის ჩაყრის შემდეგ:

ა) ქვიშას უნდა დაასხა ცხელი წყალი.

ბ) ქვიშას უნდა დააყარო აგურის ნატეხები.

გ) ქოთანი უნდა აავსო მიწით.

4 რის შესახებ არის ტექსტში რჩევები?

ა) როგორ უნდა მოირწყოს ჯუჯა ბანანი.

ბ) როდის უნდა დაიკრიფოს ჯუჯა ბანანის ნაყოფი.

გ) როდის უნდა ჩაირგოს ჯუჯა ბანანი.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. აივანზე **ჯუჯა** ბანანის ხე დგას.

   ა) ძალიან გემრიელი. ბ) ძალიან ლამაზი. გ) ძალიან პატარა.

2. ბანანს **შუქი** უყვარს.

   ა) სითბო. ბ) სინათლე. გ) სიცხე.

2 შეაერთე საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები.

მაღალი	პატარა
დიდი	ცივი
ცოტა	დაბალი
ცხელი	ბევრი

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვებია გამოტოვებული?

1. არ დაგავიწყდეს ---------- დამატება.

   ა) ნაცარი. ბ) ნაცარს. გ) ნაცრის.

2. ბანანი ჩარგე ----------.

   ა) ქოთანზე. ბ) ქოთანთან. გ) ქოთანში.

2 დაწერე ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: შენ დაასხი.	*მე დავასხი.*
1. შენ დარგე.	მე ----------.
2. შენ ჩაყარე.	მე ----------.

გრამატიკა

3 **დაწერე გამოტოვებული ფორმები.**

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
ნიმუში: ქვეყანა	*ქვეყნები*
ბანანი	----------
----------	ხეები
ქოთანი	----------
----------	მწერები

4 **დაასრულე სიტყვები.**

1. ჩაყარე ქოთან. . . ქვიშა.
2. ქოთანი ფანჯარას. . . დადგი.

წერა

დაუწერე შენს მეგობარს ჯუჯა ბანანის დარგვის წესები.

ნაბიჯი 1. აიღე ქოთანი.	**ნაბიჯი 2.**	**ნაბიჯი 3.**
ნაბიჯი 4.	**ნაბიჯი 5.**	**ნაბიჯი 6.**